<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 120-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ამოღების ან ჩხრეკის ჩატარებისას გამომძიებელს უფლება აქვს, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში.

2. ამოღების ან ჩხრეკის დაწყების წინ გამომძიებელი ვალდებულია სასამართლოს განჩინება გააცნოს, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების საფუძველი განუმარტოს პირს, რომელთანაც ტარდება საგამოძიებო მოქმედება. განჩინების გაცნობას, ამოღების ან ჩხრეკის გადაუდებლად ჩატარების საფუძვლის განმარტებას, პირი ადასტურებს ხელმოწერით.

4. განჩინების გაცნობის, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ამოღების ან ჩხრეკის გადაუდებლად ჩატარების საფუძვლის განმარტების შემდეგ, გამომძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით.

2. 147-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ნიმუშის აღება ტარდება მხარის მიერ. მხარეს უფლება აქვს აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში.

2. თუ ნიმუშის აღებისათვის აუცილებელია ქირურგიული ან სამედიცინო საშუალებების გამოყენება, ნიმუშს იღებს ექსპერტი.

3. ნიმუშის აღება, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. თუ ნიმუშის აღება არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან/და მისგან თანხმობის მიღება შეუძლებელია, ის ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. თუ სახეზეა ამ კოდექსის 112-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, ასეთ შემთხვევაში ნიმუშის აღება შესაძლებელია ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე.

4. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ნიმუშის აღების დაწყებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არა უგვიანეს 1 საათისა) პროკურორმა ნიმუშის აღების თაობაზე უნდა შეატყობინოს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა ნიმუშის აღების კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საპროცესო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო, მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორის და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება.

5. ნიმუშის აღება, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული, აგრეთვე მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობით, თუ ამ პირს 16 წელი არ შესრულებია ან თუ ის ფსიქიკურად დაავადებულია, ან სასამართლოს განჩინებით.

3. 219-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

7. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

ბ) 219-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის, მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული ბრალდებულის უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, ამბობენ თუ არა მხარეები უარს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს.

4. 330-ე მუხლი:

ა) 330-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-3[1] ნაწილი.

ბ). **330-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილის განსჯადობის წესს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული მიზნებისათვის განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ნაფიცი მსაჯულები კი შეირჩევიან შესაბამისად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან.

მუხლი 2

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გ. მარგველაშვილი**